საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

პერსონიფიცირებული კანონშემოქმედება საქართველოში, როგორც უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის საშუალება

2024 წლიდან მიღებული შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა

პერსონიფიცირებული კანონშემოქმედება საქართველოში, როგორც უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის საშუალება

2024 წლიდან მიღებული შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა

თბილისი
2026

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ონიანი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

I. პერსონიფიცირებული ძალადობრივი კანონშემოქმედება საქართველოში 5

1. რუსული კანონი („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი) – მიღების თარიღი: 2024 წლის 28 მაისი 5
2. ჰომოფობიური/ტრანსფობიური საკანონმდებლო პაკეტი – მიღების თარიღი: 2024 წლის 17 სექტემბერი 6
3. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში – მიღების თარიღი: 2024 წლის 13 დეკემბერი 6
4. ცვლილებები საჯარო სამსახურის შესახებ კანონში – მიღების თარიღი: 2024 წლის 13 დეკემბერი 7
5. ცვლილებები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში – მიღების თარიღი: 2024 წლის 13 დეკემბერი 7
6. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 6 თებერვალი 8
7. ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში – მიღების თარიღი: 2025 წლის 6 თებერვალი 9
8. ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში და გამომდინარე ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 20 თებერვალი 10
9. ე.წ. FARA და მისგან გამომდინარე ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 1-ლი აპრილი 10
10. ცვლილებები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის სავალდებულოობის გაუქმებასთან დაკავშირებით – მიღების თარიღი: 2025 წლის 2 აპრილი 11
11. კანონმდებლობიდან ტერმინ „გენდერის“ ამოღებასთან დაკავშირებული ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 2 აპრილი 11
12. ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის პირველი აპრილი 11
13. ცვლილებები „გრანტების შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 აპრილი 12
14. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა აქტებში (ნარკოპოლიტიკის გამკაცრებასთან დაკავშირებით) – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 აპრილი, 2025 წლის 2 ივლისი 13
15. ცვლილებები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 13 მაისი 13
16. ცვლილებები საქართველოს პარლამენტის ახალ რეგლამენტში – მიღების თარიღი: 2025 წლის 13 მაისი 14
17. ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი 14
18. ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში (სასამართლოში ვიდეო/ფოტო გადაღების და აუდიოჩაწერის შეზღუდვა) – მიღების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი 15
19. ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში, სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა კანონებში – მიღების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი 15
20. ცვლილებები „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში – მიღების თარიღი: 2025 წლის 2 ივლისი 16
21. ცვლილებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონში და გამომდინარე ცვლილებები სხვა საკანონმდებლო აქტებში – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 ოქტომბერი 16
22. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 ოქტომბერი 16
23. ცვლილებები „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში და გამომდინარე ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 9 დეკემბერი 17
24. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 10 დეკემბერი 18
25. განახლებული საარჩევნო კოდექსი – მიღების თარიღი: 2026 წლის 17 დეკემბერი 18
26. ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2026 წლის 4 თებერვალი 19
27. ცვლილებები „გრანტების შესახებ“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში – მიღების თარიღი: 2026 წლის 4 მარტი 19

II. ტენდენციების შეფასება და შეჯამება 21

შესავალი

ავტორიტარები, ხშირ შემთხვევაში, ცდილობენ, საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაცია მოახდინონ კანონმდებლობის მორგების გზით. ეს განსაკუთრებით ეფექტიანია იმ ინსტიტუციების შესასუსტებლად, რომლებმაც ძალაუფლების მქონე მმართველები უნდა გააკონტროლონ.[1]

კანონები, რომლებსაც მმართველი ელიტები, საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით, საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციისა ან პოლიტიკური ოპონენტების დევნისთვის იღებენ, სამართლიანად უნდა ჩაითვალოს პერსონიფიცირებულ კანონმდებლობად.

პერსონიფიცირებული კანონმდებლობა შეიძლება ორი მიმართულებით არსებობდეს. ერთი მხრივ, შესაძლოა, მისი მიზანი იყოს კონკრეტული პირის თუ პირთა ჯგუფის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებლობა მორგებულია მმართველ ელიტაზე. მეორე მხრივ კი, კანონმდებლობის პერსონიფიცირებით, მმართველი ელიტა ცდილობს, პოლიტიკურად მიუღებელი პირები გაანეიტრალოს და, შედეგად, „გაასუფთაოს პოლიტიკური ველი“.

2024 წლიდან მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ მიმდინარე კანონმდებლობის არაერთგზის შეცვლით სცადა საკუთარი ძალაუფლების გამყარება. ამ დოკუმენტში მოცემულია პერსონიფიცირებული კანონმდებლობის ფორმები საქართველოს კონტექსტში. ხშირად ეს დაჩქარებული კანონშემოქმედებით[2] ხასიათდებოდა. საქართველოში ის გულისხმობს კანონში ცვლილების შეტანას შემჭიდროებულ ვადებში, კონკრეტულად, 1 კვირაში.[3] ქვემოთ წარმოდგენილი და გაანალიზებულია 2024 წლის 3 აპრილიდან 2026 წლის 20 თებერვლამდე პერიოდი. **დასახელებული დროის ინტერვალში საკანონმდებლო ორგანოში დაინიციირდა და მიიღეს 304 კანონი დაჩქარებული წესით.**

აქედან ზოგიერთი მათგანი პაკეტის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო ზოგი – ცალკე ცვლილების სახით. ამ ფორმით მიღებული აქტების ნაწილი სხვადასხვა ძირითად უფლებას ზღუდავდა. ხშირ შემთხვევაში, მოცემული ცვლილებების სამიზნე 2024 წლის საპარლამენტოს არჩევნების შემდგომი პროტესტის მონაწილეები იყვნენ. პერსონიფიცირებული კანონმდებლობის ტენდენციის წარმოსაჩენად, ქვემოთ მოცემულია შესაბამისი ფაქტების ანალიზი.

[1] Landau, D., E., Democratic Erosion and Constitution-Making Moments: The Role of Transnational Legal Norms, Constitution-Making and Transnational Legal Order, edited by Gregory Shaffer, Tom Ginsburg and Terence C. Halliday, Cambridge University Press, 2019, 234.

[2] კაპანაძე, ნ., ალავერდაშვილი, გ., კანონების დაჩქარებული წესით მიღება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022, 32-36.

[3] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 117-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

I. პერსონიფიცირებული ძალადობრივი კანონშემოქმედება საქართველოში

1. რუსული კანონი („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი) – მიღების თარიღი: 2024 წლის 28 მაისი

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის 3 აპრილს დააინიციირა და მე-3 მოსმენით 14 მაისს მიიღო.[4] პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტოს უფლება გამოიყენა და 2024 წლის 18 მაისს კანონი მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს დაუბრუნა.[5] პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების მიხედვით, „ამ კანონის გაუმჯობესება შეუძლებელია. კანონი მთელი თავისი შინაარსით არის არაკონსტიტუციური, მაშასადამე, არაქართული, არაევროპული და არადემოკრატიული“.[6] პრეზიდენტმა პარლამენტს შესთავაზა, კანონი ამოქმედებიდან ერთ დღეში გაუქმებულიყო.[7] პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია, კანონი, საბოლოოდ, 2024 წლის 28 მაისს მიიღო და ის კვლავ ძალაშია.

კანონი ითვალისწინებს დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებელი რეესტრის შექმნას არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ. კანონის მიხედვით, ასეთი ორგანიზაციები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებად“ უნდა დარეგისტრირდნენ და შესაბამისი დეკლარაციები წარადგინონ. რეგისტრაციისა და დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მძიმე ფინანსურ სანქციებს, რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის. აღნიშნული ორგანიზაციები ექვემდებარებიან ინტენსიურ მონიტორინგს. მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია, ნებისმიერი პირისგან (მათ შორის, ფიზიკური პირებისგან) მოითხოვოს ნებისმიერი საიდუმლოების (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) და პერსონალური მონაცემების (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) შემცველი ინფორმაციის გადაცემა.[8]

კანონს ძლიერი კრიტიკა მოჰყვა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, მათ შორის, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მხრიდან, რომელთა შეფასებების მიხედვით, კანონი არ შეესაბამება დემოკრატიულ სტანდარტებსა და ადამიანის უფლებათა სამართალს, მათ შორის, გამოხატვის, გაერთიანების, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვას.[9]

რუსეთში მოქმედ კანონებთან მსგავსების გამო, საზოგადოებამ მას რუსული კანონი შეარქვა. კანონის ინიციირებამ 2024 წლის აპრილ-მაისში მასშტაბური, მშვიდობიანი საპროტესტო აქციები გამოიწვია, რომლებსაც ხელისუფლება ძალადობრივად არბევდა.[10]

„რუსულ კანონსა” და მის მიერ გამოწვეულ მძიმე შედეგებზე საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 16-მა მედია ორგანიზაციამ, 120-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ და 4-მა ფიზიკურმა პირმა 2024 წლის 17 ოქტომბერს მიმართა.[11] არასამთავრობო და მედია ორგანიზაციები, ასევე ფიზიკური პირები სტრასბურგის სასამართლოში დავობენ, რომ „რუსული კანონი” არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ გაერთიანების თავისუფლებას (მე-11 მუხლი), გამოხატვის თავისუფლებას (მე-10 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას (მე-8 მუხლი), დისკრიმინაციის აკრძალვისა (მე-14 მუხლი) და სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების გამოყენების (მე-13 მუხლი) უფლებებს, ასევე, უფლებათა შეზღუდვის ფარგლებს (მე-18 მუხლი). სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში[12] და ის წარმოებაში მიიღო ყველა მუხლთან მიმართებით. ამასთანავე, სასამართლოს მიერ გამოგზავნილ კორესპონდენციაში მითითებულია, რომ, შესაძლოა, მას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმის სტატუსი მი-

---

[4] იხ. https://info.parliament.ge/#law-drafting/28355, განახლებულია: 11.05.26.

[5] საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შეკითხვები, №07-1/32/10, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/361894, განახლებულია: 11.05.26.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[8] საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში“, 2024, გვ. 4, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf_01722589845.pdf, განახლებულია: 11.05.26.

[9] Venice Commission, Georgia - Urgent Opinion on the Law of Georgia on Transparency of Foreign Influence, issued on 21 May 2024, CDL-AD(2024)020, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)020-e, OSCE ODIHR, Georgia: Urgent Opinion on the Law "On Transparency of Foreign Influence", 2024, Opinion-Nr.: NGO-GEO/506/2024 [NR], ხელმისაწვდომია: https://odihr.osce.org/odihr/569922, განახლებულია: 11.05.26.

[10] საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში“, 2024, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf_01722589845.pdf, განახლებულია: 11.05.26.

[11] საია, „რუსული კანონის“ საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებმა წერილობითი კომუნიკაცია წარადგინეს, 23.09.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/Ara-Rusulkanons-GYLA, განახლებულია: 11.05.26.

[12] იქვე.

ენიჭოს. მსგავსი სტატუსი ენიჭება ისეთ საქმეებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევის გამორჩეულად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.[13]

2. ჰომოფობიური/ტრანსფობიური საკანონმდებლო პაკეტი – მიღების თარიღი: 2024 წლის 17 სექტემბერი

„ქართულმა ოცნებამ" 2024 წლის 4 ივნისს დააინიციირა, 2024 წლის 17 სექტემბერს კი მესამე მოსმენით მიიღო „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" კანონი და მასთან დაკავშირებული ცვლილებები 18 საკანონმდებლო აქტში, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში.[14] მიღებული კანონები იწვევს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წახალისებას, ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების დისკრიმინაციულ, გაუმართლებელ შეზღუდვას, აქტივისტურ, შემოქმედებით, მეცნიერულ საქმიანობაზე ცენზურის დაწესებას. იმავდროულად, ისინი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ სანქციებს, რომლებითაც, ფაქტობრივად, აქტივიზმის, სამეცნიერო საქმიანობის და ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის კრიმინალიზებას ახდენს.[15] კანონები ეწინააღმდეგება, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. მათი გაუქმებისკენ სახელმწიფოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმაც მოუწოდა.[16]

აღსანიშნავია, რომ ამ საკანონმდებლო პაკეტამდე, 2024 წლის 3 აპრილს,[17] „ქართულმა ოცნებამ" დააინიციირა იდენტური შინაარსის კონსტიტუციური კანონის პროექტი. 2024 წლის 17 სექტემბერს მიღებული საკანონმდებლო პაკეტის მსგავსად, ადამიანის უფლებათა სამართალთან შეუსაბამობის გამო, მასაც მწვავე კრიტიკა მოჰყვა, მათ შორის, ვენეციის კომისიისა[18] და გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტისგან.[19] პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის არქონის შედეგად, „ქართულ ოცნებას" ეს კონსტიტუციური კანონი არ მიუღია.[20]

3. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში – მიღების თარიღი: 2024 წლის 13 დეკემბერი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი ბიუროზე გავიდა 2024 წლის 9 დეკემბერს და პარლამენტმა დაჩქარებული წესით 13 დეკემბერს მიიღო.[21] ცვლილებები ითვალისწინებდა არაერთ შეზღუდვას, როგორიცაა შეკრებისას სახის ნიღბით ან სხვა საშუალებით დაფარვის აკრძალვას, შეკრებებზე ლაზერული თუ სხვა მკვეთრი გამოსხივების მქონე საშუალების აკრძალვას, შეკრებებისა და მანიფესტაციების წესების დარღვევისა და საპროტესტო გამოხატვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევისთვის სანქციების ზრდას, ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძვლების გაფართოებას.[22]

შეკრებაზე სახის დაფარვის ბლანკეტური აკრძალვა შეუთავსებელია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან.[23] ამასთანავე, საპროტესტო გამოხატვასთან დაკავშირებულ ქმედებებზე სანქციების არაპროპორციული ზრდით ხელისუფლება მოსახლეობის დაშინებას ისახავდა მიზნად. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდა და, შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებებით, გაჩნდა ახალი სამართალდარღვევები, რომლებიც პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ კვლავ აქტიურად გამოიყენება.

---

[13] იქვე.

[14] საკანონმდებლო პაკეტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/28721, განახლებულია: 11.05.26.

[15] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხმაურება, 20.09.2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmdeg-mimartul-sakanonmdeblo-cvlilebebs-ekhmaureba, განახლებულია: 11.05.26.

[16] 1507th meeting (17-19 September 2024) (DH) - H46-9 Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), ხელმისაწვდომია: CM/Del/Dec(2024)1507/H46-9, განახლებულია: 11.05.26.

[17] კონსტიტუციური კანონის პროექტი და მასთან დაკავშირებული ფაილები, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/28840, განახლებულია: 11.05.26.

[18] Venice Commission, Georgia, Opinion on the Draft Constitutional Law on Protecting Family Values and Minors, CDL-AD(2024)021, 2024, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e, განახლებულია: 11.05.26.

[19] Committee on the Rights of the Child, Concluding observations on the combined fifth and sixth reports of Georgia, 30.05.2024, CRC/C/GEO/CO/5-6, par. 16. ხელმისაწვდომია: https://documents.un.org/doc/undoc/gen/g24/088/87/pdf/g2408887.pdf, განახლებულია: 11.05.26.

[20] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ცვლილებებს ეხმაურება, 20.09.2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmdeg-mimartul-sakanonmdeblo-cvlilebebs-ekhmaureba, განახლებულია: 11.05.26.

[21] საკანონმდებლო პაკეტი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/29793, განახლებულია: 19.02.26.

[22] საია, „ქართული ოცნება" კანონმდებლობაში არადემოკრატიული და რეპრესიული ცვლილებების შეტანას ცდილობს, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-gyla, განახლებულია: 19.02.26; საია, რა ცვლილებები შევა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში? საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/ra-tsvlilebebi-shedis-administraciul-samartaldargvevata-kodeqsshi, განახლებულია: 19.02.26.

[23] იქვე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში 2024 წლის დეკემბერში და, მოგვიანებით, 2025 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილებები მწვავედ გააკრიტიკა როგორც ვენეციის კომისიამ,[24] ისე ეუთო/ოდირმა.[25]

ამის ფონზე, პაკეტში შემავალ კანონპროექტებზე თანდართულ განმარტებით ბარათებში არ არის დასაბუთებული დაჩქარებული წესით მათი მიღების გარდაუვალი აუცილებლობა.[26]

4. ცვლილებები საჯარო სამსახურის შესახებ კანონში – მიღების თარიღი: 2024 წლის 13 დეკემბერი

საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებები 2024 წლის 4 დეკემბერს დაინიციირდა და 2024 წლის 13 დეკემბერს დაჩქარებული წესით მიიღეს.[27] განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დაჩქარებული წესით განხილვის საფუძველი სამთავრობო პროგრამის შესრულებაა.[28] ცვლილება საჯარო სამსახურის შესახებ კანონში მოცემულ არაერთ საკითხს შეეხო და მან საჯარო მოხელეების დაშინების, პოლიტიკური წმენდის ქმედითი მექანიზმი შექმნა.[29]

ცვლილებებით, საჯარო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები გახდნენ (აქამდე მათ პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსი ჰქონდათ), რამაც ამ თანამდებობაზე მყოფი პირების დაუსაბუთებელი გათავისუფლება და თვითნებური დანიშვნა მნიშვნელოვნად გაამარტივა.[30] ამასთანავე, არსებითად შესუსტდა რეორგანიზაციის პირობებში მოხელეთა დაცვის გარანტიები.[31]

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის დეკემბრის ბოლოდან საჯარო დაწესებულებებში სხვადასხვა საბაბით თანამშრომელთა გათავისუფლების მასშტაბური პროცესი დაიწყო.[32] საჯარო მოხელეთა პროფესიული გაერთიანების 2025 წლის ინფორმაციით, საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებულთა რაოდენობამ 1200 ადამიანს გადააჭარბა.[33] ეს იმაზე მიუთითებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რესურსი აქვს და შეუძლია კანონის ინსტრუმენტალიზაცია.

5. ცვლილებები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში – მიღების თარიღი: 2024 წლის 13 დეკემბერი

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი 2024 წლის 4 დეკემბერს დაინიციირდა და პარლამენტმა დაჩქარებული წესით 2024 წლის 13 დეკემბერს მიიღო.[34]

ცვლილებებით, საქართველოს პრეზიდენტისთვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთვის სახელმწიფო დაცვის გაგრძელება და შენარჩუნება დამოკიდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის დარღვევის დადგენაზე.[35] აღ-

---

[24] Venice Commission, Georgia, Urgent Opinion on Amendments to the Code of Administrative Offences and the Law on Assemblies and Demonstrations, CDL-PI(2025)004, 2025, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2025)004-e, განახლებულია: 04.05.2026.

[25] OSCE ODIHR, Urgent Opinion on the Amendments to the Law on Assemblies and Demonstrations, the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as Adopted on 6 February 2025), 2025, ხელმისაწვდომია: https://cdn.osce.org/sites/default/files/f/documents/d/2/587466.pdf, განახლებულია: 04.05.2026.

[26] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/373185; განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/373179, განახლებულია: 19.02.26.

[27] კანონპროექტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/29794, განახლებულია: 19.02.26.

[28] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/373193, განახლებულია: 19.02.26.

[29] საია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მოხელეებზე ზეწოლის გაზრდას და საჯარო სამსახურის კიდევ უფრო პოლიტიზებას ემსახურება, 16.12.2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sajaro-samsaxuris-shesaxebkanoni-cvlilebebi, განახლებულია: 04.05.2026.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება, ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს, 2025 წლის 10 დეკემბერი, გვ. 43, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/adamianisuplebebisagartveloshi-2025-GYLA, განახლებულია: 04.05.2026.

[33] ბათუმელები, 1200-ზე მეტი საჯარო მოხელე გაათავისუფლეს – „მაგრამ კრიტიკული განწყობა არსად არ წასულა“, 16.09.2025, ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/587084/?fbclid=IwY2xjawOC9HJleHRuA2FlbQIxMQBzcnRjBmFwcF9pZBAyMjIwMzkxNzg4MjA; იხილეთ ასევე: პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე კიდევ 3 საჯარო მოხელე საუბრობს, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/758366/; თბილისის მერიიდან კიდევ 3 თანამშრომელი გაათავისუფლეს, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/767652/; მორჩილი საჯარო სექტორი? - გათავისუფლება ერთი წინადადებით, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/33269956.html, განახლებულია: 19.02.26.

[34] საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/29794, განახლებულია: 04.05.2026.

[35] იქვე.

სანიშნავია, რომ საქართველოს მე-5 პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს 2023 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაუდგინა კონსტიტუციის 48-ე მუხლის დარღვევა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო პარლამენტში საკმარისი ხმების მობილიზება მისთვის უფლებამოსილების შესაწყვეტად.[36] ცვლილება საქართველოს მე-5 პრეზიდენტის წინააღმდეგ პერსონიფიცირებულ კანონად უნდა იყოს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ნორმა, პრეზიდენტის გარდა, სხვა თანამდებობის პირებზეც მიუთითებს.[37]

6. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 6 თებერვალი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების კიდევ ერთი პაკეტი 2025 წლის 29 იანვარს დაინიციირდა და პარლამენტმა დაჩქარებული წესით 2025 წლის 3-6 თებერვლის პერიოდში მიიღო.[38] ცვლილებები მოიცავდა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადისა და ჯარიმების მნიშვნელოვან ზრდას (მათ შორის, ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 4-ჯერ გაიზარდა და 60 დღე გახდა). ამასთანავე, ცვლილებები მოიცავდა შეკრების წესის დარღვევის გადატანას შსს-ს განსჯადობაში, შედეგად, სასამართლოში მტკიცების ტვირთის შებრუნებას და მის დაკისრებას სამართალდამრღვევზე, პირადი გასინჯვის წესის გაუარესებას, ორგანიზატორის ცნების გაფართოებას, დროებითი კონსტრუქციების აკრძალვას, შეკრების აკრძალვასთან დაკავშირებული იმ უფლებამოსილებების გადაცემას შსს-სთვის, რომლებიც მანამდე მუნიციპალიტეტს ეკუთვნოდა, ხალხის გადაადგილების შეფერხების აკრძალვას.[39]

ცვლილებებით, ასევე აიკრძალა შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება დახურულ სივრცეში მესაკუთრის წერილობითი თანხმობის გარეშე.[40] ეს იყო რეაქციული პასუხი იმ დროისთვის უნივერსიტეტებში მიმდინარე პროტესტზე.[41]

ცვლილებებით, იმ ადგილების ჩამონათვალს, სადაც შეკრების ჩატარება იკრძალებოდა, დაემატა ხიდები, გვირაბები, ესტაკადები, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული იმგვარი სატრანსპორტო კვანძები, რომელთა შეფერხებაც არსებით ზიანს მიაყენებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილებას.[42] განმარტებით ბარათში ეს ცვლილება დასაბუთებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით „კუდრევიუსი და სხვები ლიეტუვის წინააღმდეგ“.[43] თუმცა, გარდა იმისა, რომ მანიპულაციურად იყო განმარტებული ამ საქმეში დადგენილი სტანდარტი და უგულებელყოფილი იყო მნიშვნელოვანი ფაქტობრივი, სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც ამ განმარტებას არარელევანტურად აქცევდა, ასევე იგნორირებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უფრო ახალი პრაქტიკა, კონკრეტულად, გადაწყვეტილება „გეილანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“[44] (ამ საქმეში დემონსტრანტები აქციას ერთ-ერთ მთავარ გზაზე მართავდნენ. პოლიცია აქციის დაშლას შეუდგა მყისიერად, აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ და ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებიდან 20 წუთზე ნაკლებ დროში. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრანტები პოლიციამ მანამდე რამდენჯერმე გააფრთხილა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველდღიური ცხოვრების შეფერხება არ იყო იმ ხარისხის, რომ გაემართლებინა პოლიციის მხრიდან სწრაფი ჩარევა).[45]

ვენეციის კომისიის შეფასებით, „ცვლილებებით შემოღებული ახალი წესები შეიცავს არაერთ ბუნდოვან და ფართოდ ფორმულირებულ დებულებას, რაც ხელისუფლებას მათ გამოყენებაში ზედმეტად ფართო დისკრეციას ანიჭებს. ეს ამცირებს სამართლებრივი ჩარჩოს წინასწარგანჭვრეტადობას და აზიანებს სამართლებრივ განსაზღვრულობას ძირითადი თავისუფლებების განხორციელებისას. ნორმების არაერთგვაროვანი და ბუნდოვანი ფორმულირება ზრდის მათი ბოროტად გამოყენების რისკს. გარდა ამისა, ცვლილებებში გათვალისწინებული სხვადასხვა შემზღუდავი ღონისძიების აუცილებლობა და პროპორციულობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული. ახალი მკაცრი საპატიმრო სასჯელები, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დაკისრებული

[36] საია, „ქართული ოცნება“ კანონმდებლობაში არადემოკრატიული და რეპრესიული ცვლილებების შეტანას ცდილობს, 12.12.2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-gyla, განახლებულია: განახლებულია: 04.05.2026.
[37] იქვე.
[38] საკანონმდებლო პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30044, განახლებულია: 19.02.26.
[39] საია, „ქართული ოცნება“ პროტესტის უფლების ბევრ ასპექტს სამართალდარღვევად აცხადებს - დაჩქარებული ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, 05.02.2025, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/qartuli-ocneba-protestis-uflebis-bevr-aspeqts-zgudavs; საია, რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" კანონში მესამე მოსმენით მიიღეს, 07.02.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-saias-shefaseba, განახლებულია: 05.05.2026.
[40] საია, რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" კანონში მესამე მოსმენით მიიღეს, 07.02.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-saias-shefaseba, განახლებულია: 05.05.2026.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], 37553/05, 15.10.2015.
[44] Geylani and Others v. Türkiye, 10443/12, 12.09.2023.
[45] საია, რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" კანონში მესამე მოსმენით მიიღეს, 07.02.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-saias-shefaseba, განახლებულია: 05.05.2026.

ჯარიმების მნიშვნელოვანი ზრდა, გადაჭარბებულად გამოიყურება და, სავარაუდოდ, ექნება მსუსხავი ეფექტი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების განხორციელებაზე“.[46]

გარდა შეკრებებსა და მანიფესტაციებთან დაკავშირებული ცვლილებებისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 173[16]-ე მუხლი, რომლითაც თანამდებობის პირის ან საჯარო მოსამსახურის შეურაცხყოფა აიკრძალა.[47] ეუთო/ოდირის შეფასებით, ეს ნორმა „უნდა გადაიხედოს გამოხატვის თავისუფლებაზე მისი შესაძლო მსუსხავი ეფექტის გამო, ან, მინიმუმ, უნდა შეიცვალოს ისე, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს მისი შემადგენელი ელემენტები და მისი გამოყენება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც გამოხატვა აღწევს გარკვეული სიმძიმის ზღვარს“.[48]

ამ საკითხებზე ინიციირებული პროექტების განმარტებითი ბარათები ზოგადი ხასიათისაა და არ არის დასაბუთებული დაჩქარებული წესით მათი მიღების აუცილებლობა.[49]

7. ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში – მიღების თარიღი: 2025 წლის 6 თებერვალი

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები 20205 წლის 29 იანვარს დაინიციირდა და პარლამენტმა დაჩქარებული წესით 2025 წლის 6 თებერვალს მიიღო.[50] ცვლილებები ითვალისწინებდა სანქციების ზრდას ძალადობისკენ მოწოდებისთვის, სამართალდამცავზე თავდასხმისთვის, აწესებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას თანამდებობის პირებისა ან მათი ოჯახის წევრების მიმართ მუქარისა და თავდასხმის შემთხვევებში (მუხლი 353[2]).

ეუთო/ოდირმა აღნიშნა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა, რამდენად საჭირო იყო კოდექსში 353[2]-ე მუხლის დამატება, რადგანაც იგი, შესაძლოა, უკვე არსებულ 151-ე მუხლთან (მუქარა) იკვეთებოდეს ან მის დუბლირებას იწვევდეს.[51] ODIHR-მა ასევე ყურადღება გაამახვილა სანქციების მკვეთრ, დაუსაბუთებელ ზრდაზე და იმ ფაქტზე, რომ ცვლილებები არ ითვალისწინებს სხვადასხვა დამამძიმებელი გარემოების განსხვავებულ შედეგებს და სიმძიმის ხარისხს.[52] ოდირის შეფასებით, ასეთ არაპროპორციულ სანქციებს და დამამძიმებელ გარემოებებს, შესაძლოა, ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობაზე.[53]

ამასთან ერთად, ცვლილებებით, კოდექსის მუხლებს (მუხლი 222 – „ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება“; მუხლი 320 – „სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით“) დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, ამ მუხლების მიზნებისთვის სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.[54] ოდირის შეფასებით, მთავრობის დადგენილებით ამ ნუსხის განსაზღვრა ეწინააღმდეგება სამართლებრივი სიზუსტისა და განჭვრეტადობის პრინციპებს.[55] იქამდე კი, 2025 წლის 31 იანვარს, „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N361 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც ამ ჩამონათვალს დაემატა საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები.[56] ეს ჩანაწერი დადგენილებაში თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზასთან, „თბილისი მოლის“ მიმდებარედ, 2 თებერვლის საპროტესტო აქციის დაანონსების შემდგომ შევიდა და ამ შეკრების წინააღმდეგ იყო მიმართული.[57]

---

[46] Venice Commission, Georgia, Urgent Opinion on Amendments to the Code of Administrative Offences and the Law on Assemblies and Demonstrations, CDL-PI(2025)004, 2025, par. 53-54, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2025)004-e, განახლებულია: 04.05.2026.

[47] საია, „ქართული ოცნება“ პროტესტის უფლების ბევრ ასპექტს სამართალდარღვევად აცხადებს - დაჩქარებული ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, 05.02.2025, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/qartuli-ocneba-protestis-uflebis-bevr-aspeqts-zgudavs, განახლებულია: 05.05.2026.

[48] OSCE ODIHR, Urgent Opinion on the Amendments to the Law on Assemblies and Demonstrations, the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as Adopted on 6 February 2025), 2025, par. 104, ხელმისაწვდომია: https://cdn.osce.org/sites/default/files/f/documents/d/2/587466.pdf, განახლებულია: 04.05.2026.

[49] განმარტებითი ბარათები ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30044, განახლებულია: 19.02.26.

[50] ცვლილებები და მასთან დაკავშირებული ფაილები ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30046, განახლებულია: 04.05.2026.

[51] OSCE ODIHR, Urgent Opinion on the Amendments to the Law on Assemblies and Demonstrations, the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as Adopted on 6 February 2025), 2025, par. 107, ხელმისაწვდომია: https://cdn.osce.org/sites/default/files/f/documents/d/2/587466.pdf, განახლებულია: 04.05.2026.

[52] იქვე.

[53] იქვე.

[54] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება, ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს, 2025 წლის 10 დეკემბერი, გვ. 19, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/adamianisuplebebisaqartveloshi-2025-GYLA, განახლებულია: 04.05.2026.

[55] OSCE ODIHR, Urgent Opinion on the Amendments to the Law on Assemblies and Demonstrations, the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as Adopted on 6 February 2025), 2025, par. 106, ხელმისაწვდომია: https://cdn.osce.org/sites/default/files/f/documents/d/2/587466.pdf, განახლებულია: 04.05.2026.

[56] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N361 დადგენილება სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

[57] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება, ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს, 2025 წლის 10 დეკემბერი, გვ. 19, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/adamianisuplebebisaqartveloshi-2025-GYLA, განახლებულია: 04.05.2026.

8. ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში და გამომდინარე ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 20 თებერვალი

2025 წლის 12 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დააინიციირა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საჯარო სამსახურის მოდიფიცირებას გულისხმობდა.[58] ამ ცვლილებით, გაუქმდა საჯარო სამსახურის ბიურო. ინიციატორის მოთხოვნითვე, პაკეტი დაჩქარებული წესით განიხილეს და 17-20 თებერვლის შუალედში მიიღეს. დაჩქარებული წესის გამოყენების დასაბუთების ნაწილში მითითებული იყო, რომ რეფორმას სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებდა.[59] თუმცა, სამთავრობო პროგრამაში არის მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი საჯარო სამსახურის სრულყოფის თაობაზე და არ წერია ვადები.[60] ამასთანავე, განმარტებით ბარათში ნახსენებია, რომ რეფორმა უნდა ამოქმედდეს 2025 წლის პირველი აპრილიდან, ამიტომ, აუცილებელი იყო დაჩქარებული წესით მისი მიღება.[61] რატომ განისაზღვრა ეს ვადა, ან რატომ იყო მისი დაცვა აუცილებელი, განმარტებით ბარათში არ ყოფილა ნახსენები. შესაბამისად, წარმოდგენილი არგუმენტები არ არის წონადი. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა, რომ განიხილებოდა გარკვეული რეფორმები. აქედან გამომდინარე, მას შეეძლო, თადარიგი დაეჭირა და პაკეტი, რომელიც 13 კანონში ცვლილებებს მოიცავდა,[62] დაჩქარებულის ნაცვლად, ორდინარული წესით განეხილა. გარდა პროცედურული ნაკლოვანებებისა, პაკეტი ხასიათდებოდა შინაარსობრივი პრობლემებითაც. ცვლილებების შედეგად, გაუქმდა საჯარო სამსახურის ბიურო. საიას შეფასებით, ბიუროს ლიკვიდაცია კიდევ ერთი რეპრესიული ნაბიჯია არა მხოლოდ ბიუროს თანამშრომლების, არამედ ნებისმიერი საჯარო მოსამსახურის წინააღმდეგ.[63] ასეთი შემთხვევები არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საჯარო მოხელეების მიმართ დაწყებული რეპრესიების გაგრძელება, რომლებიც მათ უკვე შეეხო როგორც ინდივიდუალურად, ისე ინსტიტუციურად. ამგვარი ფაქტები კიდევ უფრო მეტად აშორებს ქვეყანას დემოკრატიულ პროცესებსა და საჯარო მმართველობის სტანდარტებს.[64]

9. ე.წ. FARA და მისგან გამომდინარე ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 1-ლი აპრილი

„ქართულმა ოცნებამ“ უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი (ე.წ. FARA) 2025 წლის 19 თებერვალს დააინიციირა და 1-ელ აპრილს მიიღო. პაკეტი ასევე ითვალისწინებდა ე.წ. FARA-დან გამომდინარე ცვლილებებს სისხლის სამართლის კოდექსში.[65]

კანონის მიხედვით, პირს შეიძლება დაეკისროს „უცხოეთის პრინციპალის აგენტად” რეგისტრაციის ვალდებულება, თუ იგი, უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, საქართველოში მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესების გამო და, თუ, იმავდროულად, იგი მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით. კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან (თავდაპირველ ვერსიაში მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო ანტიკორუფციული ბიურო იყო) ზედმეტად ფართო მონიტორინგის უფლებამოსილებას, ასევე, რეგისტრირებული ორგანიზაციებისთვის ექსტენსიურ ანგარიშგებას და მათ მიერ გავრცელებულ მასალებზე შესაბამისი აღნიშვნის გაკეთების ვალდებულებას. ამ კანონით გათვალისწინებული რეგულაციების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის, 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ვენეციის კომისიის თანახმად, ე.წ. FARA-ს ბუნდოვანი დეფინიციები იძლევა მისი ზედმეტად ფართოდ და თვითნებურად განმარტების შესაძლებლობას, რითაც ქმნის მსუსხავ ეფექტს და თვითცენზურის გარემოს.[66] კომისიის შეფასებით, ეს კანონი, მისი წინამორბედი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მსგავსად, ვერ აკმაყოფილებს კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობის კომპონენტებს და ძირს უთხრის გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებებს.[67]

საიამ ე.წ. ფარას წინააღმდეგ საქმე სტრასბურგის სასამართლოში 2025 წელს 6 მომჩივნის (სამი ორგანიზაცია, სამი ფიზიკური პირი) სახელით გაგზავნა. საჩივარში საია დავობს, რომ „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარა-

[58] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30249, განახლებულია: 19.02.26.
[59] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/380120, განახლებულია: 19.02.26.
[60] სამთავრობო პროგრამა 2025-2028, 7-8, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/90372_90372_536784_372256.pdf, განახლებულია: 19.02.26.
[61] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/380120, განახლებულია: 19.02.26.
[62] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30249, განახლებულია: 19.02.26.
[63] „საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში რეპრესიების გაგრძელებაა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sajarosamsaxurisbiuro-likvidacia, განახლებულია: 23.02.26.
[64] „საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში რეპრესიების გაგრძელებაა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sajarosamsaxurisbiuro-likvidacia, განახლებულია: 23.02.26.
[65] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30320, განახლებულია: 11.05.26.
[66] Venice Commision, Georgia Opinion on the Law on the Registration of Foreign Agents, the Amendments to the Law on Grants and Other Laws Relating to "Foreign Influence", CDL-AD(2025)034, 2025, par. 98, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e, განახლებულია: 11.05.26.
[67] იქვე, პარ. 66-67.

ნტირებულ შემდეგ უფლებებს: მე-11 მუხლი (გაერთიანების თავისუფლება), მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება), მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-18 მუხლი (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები).[68]

2026 წლის 31 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან მიღებული კომუნიკაციის თანახმად, სასამართლომ დაიწყო ამ კანონთან დაკავშირებული საქმის განხილვა. ევროპულმა სასამართლომ საქმე წარმოებაში ყველა მუხლთან მიმართებით მიიღო. სასამართლოს მიერ გამოგზავნილ კორესპონდენციაში მითითებულია, რომ მას, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმის სტატუსი მიენიჭოს.[69]

10. ცვლილებები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის სავალდებულოობის გაუქმებასთან დაკავშირებით – მიღების თარიღი: 2025 წლის 2 აპრილი

პაკეტი „ქართულმა ოცნებამ“ 2025 წლის 19 თებერვალს დააინიციირა და 2 აპრილს მიიღო.[70] ცვლილებების შედეგად, გაუქმდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ვალდებულებები, რომლებიც სხვადასხვა კანონით იყო გათვალისწინებული.[71] ეს ცვლილებები სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული გარემოს შექმნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

11. კანონმდებლობიდან ტერმინ „გენდერის“ ამოღებასთან დაკავშირებული ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 2 აპრილი

პაკეტი „ქართულმა ოცნებამ“ 2025 წლის 19 თებერვალს დააინიციირა და 2 აპრილს მიიღო.[72] ცვლილებების შედეგად, პარლამენტმა კანონმდებლობიდან ტერმინი „გენდერი“ სრულად ამოიღო. საკანონმდებლო ცვლილებები ეფუძნება მცდარ, დეზინფორმაციულ ნარატივს, თითქოს „უცხოური გავლენისა და მათი წარმომადგენლების აქტიური ლობირებით, მიზანმიმართულად ხდებოდა ხელოვნური ტერმინის - „გენდერის“ დანერგვა“.[73] კანონმდებლობიდან გენდერის ცნების გაქრობა არ არის მხოლოდ ტერმინოლოგიური ცვლილება და ძირს უთხრის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით წლების განმავლობაში გაწეულ ძალისხმევას, ქმნის საფუძველს ძალადობის თუ უთანასწორობის გენდერული პერსპექტივის გაუთვალისწინებლობის, სოციალური და კულტურული ფაქტორების უგულებელყოფისთვის, რაც პრობლემებთან სისტემურ და საფუძვლიან ბრძოლას მნიშვნელოვნად ართულებს.[74]

12. ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის პირველი აპრილი

„ქართულმა ოცნებამ“ 2025 წლის 19 თებერვალს დააინიციირა და 2025 წლის 1-ელ აპრილს მიიღო ცვლილებები კანონში „მაუწყებლობის შესახებ“. ცვლილებებით, აიკრძალა მაუწყებლის მიერ „უცხოური ძალისგან“ პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების მიღება; უცხოური ძალის მიერ მაუწყებლის მომსახურების შესყიდვა; პროგრამის მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან/და თანადაფინანსება. გამონაკლისია უცხოური ძალის მიერ კომერციული რეკლამის, ტელეშოპინგის, სპონსორობის და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება.[75] ამასთანავე, ცვლილებების შედეგად, კანონში გაჩნდა „სამართლიანობის და მიუკერძოებლობის“ ახალი ბუნდოვანი, განუჭვრეტელი მოთხოვნები, რომლებიც თვითნებური განმარტების და მაუწყებლის შინაარსობრივი კონტროლის საშუალებას იძლევა.[76]

მაუწყებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებული დაუსაბუთებელი შეზღუდვები იმავე პრობლემებით ხასიათდება, რითაც რუსული კანონი და ე.წ. FARA. ვენეციის კომისიის თანახმად, „აკრძალვა ერთმანეთისგან არ ასხვავებს ისეთ დაფინანსებას, რომელიც რეალურად უქმნის საფრთხეს დემოკრატიულ ღირებულებებს, იმ დაფინანსებისგან, რომელიც მხარს უჭერს ლეგიტიმურ ჟურნალისტურ და სამოქალაქო საქმიანობას. აკრძალვა არც ნაკლებად შემზღუდავ ალტერნატივებს ითვალისწინებს. ეს აზიანებს მედიის პლურალიზმს და ვერ აკ-

[68] საია, „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტთან“ (FARA) დაკავშირებით საჩივრის განხილვა დაიწყო და მიუთითა, რომ მას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საქმის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს“, 01.04.2026, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/GYLA-FARA-strasburgi, განახლებულია: 11.05.26.

[69] იქვე.

[70] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30346, განახლებულია 11.05.2026.

[71] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება" სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ფორმალურ შესაძლებლობასაც ართმევს, 05.03.2024, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsneba-samokalako-sazogadoebas-gadatsqvetilebebis-mighebis-protsesshi-monatsileobis-formalur-shesadzleblobasats-artmevs, განახლებულია: 11.05.2026.

[72] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30327, განახლებულია: 11.05.2026.

[73] განმარტებითი ბარათი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/381678, განახლებულია: 11.05.2026.

[74] საია, „8 მარტი: როგორ აისახება ავტორიტარული ტენდენციები ქალთა უფლებებზე საქართველოში“, 08.03.2026, https://www.gyla.ge/post/8marti-2026-GYLA, განახლებულია: 11.05.2026.

[75] კანონპროექტი და მასთან დაკავშირებული ფაილები ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30326, განახლებულია: 11.05.26.

[76] კანონპროექტი და მასთან დაკავშირებული ფაილები ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30325, განახლებულია: 11.05.26.

მაყოფილებს აუცილებლობისა და პროპორციულობის სტანდარტებს. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული აკრძალვის გაუქმება“.[77]

პრობლემურია ასევე მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ბუნდოვანი მოთხოვნები. ეუთოს მოსკოვის მექანიზმის მომხსენებლის შეფასებით, ამ ნორმის არსებობა და შესაძლებლობა, რომ იგი გამოყენებული იყოს ნებისმიერ დროს არასასურველი მაუწყებლობის წინააღმდეგ, შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლებასთან.[78]

13. ცვლილებები „გრანტების შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 აპრილი

2025 წლის 7-16 აპრილის შუალედში პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ე.წ. „გრანტების პაკეტი“.[79] ცვლილებებით, უცხოური დონორის მიერ გამოყოფილი გრანტის მიღება შესაძლებელია საქართველოს მთავრობის ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობის შემდეგ.[80] თანხმობის გარეშე გრანტის მიღება იწვევდა მიმღების დაჯარიმებას გრანტის ორმაგი ოდენობით.[81]

2025 წლის 21 მაისს დაჩქარებული წესით მიღებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ გრანტი ასევე მოიცავს გრანტის მიმღებისთვის გაწეულ ტექნიკურ დახმარებას ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების ან/და სხვა ფორმით.[82] ასევე დაზუსტდა საზღვარგარეთ უმაღლესი ან ზოგადი განათლების მიღებასა და კონკრეტული პროგრამების („ჰორიზონტი ევროპა - Horizon Europe“, „ერაზმუს+ - Erasmus+“, „გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური - DAAD“, „შემოქმედებითი ევროპა - Creative Europe“) მიერ გაცემულ გრანტებთან დაკავშირებული საგამონაკლისო წესი.

ეს ცვლილებები, ისევე, როგორც ე.წ. FARA, მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ „ქართული ოცნების“ მიერ წარმოებულ კამპანიასთან და მიზნად ისახავს, კრიტიკულად განწყობილ სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებს მოუსპოს წვდომა საქმიანობისთვის მნიშვნელოვან რესურსებზე. ამის ილუსტრაციაა დიდი ბრიტანეთის საელჩოს საგრანტო პროექტთან დაკავშირებული შემთხვევაც: 11 ივნისს დიდი ბრიტანეთის საელჩომ გააკეთა განცხადება საგრანტო წინადადებების გაუქმების შესახებ, რაც გამოწვეული იყო „ქართული ოცნების“ მიერ თანხმობის გაცემის პროცედურის გაჭიანურებით.[83] ამას მოჰყვა „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირების მხრიდან დაუსაბუთებელი თავდასხმები დიდი ბრიტანეთის საელჩოზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა (მათ შორის, საიაზეც, რომელიც გრანტის ერთ-ერთი მიმღები უნდა ყოფილიყო) და დამოუკიდებელ მედიაზე.[84]

ვენეციის კომისიის განმარტებით, „ეს ცვლილებები აწესებს ზოგად მოთხოვნას, რომ უცხოური გრანტების მიღება დაექვემდებაროს მთავრობის წინასწარ ნებართვას, თუმცა არ არის წარმოდგენილი სათანადო დასაბუთება აუცილებლობისა და პროპორციულობის შესახებ. გარდა ამისა, ცვლილებები არ განსაზღვრავს უარის თქმის მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს და არ შეიცავს საკმარის გარანტიებს, რის შედეგადაც, რჩება ფართო სივრცე თვითნებური ან დისკრიმინაციული გამოყენებისთვის. ბიუროს [ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმების შემდეგ მისი უფლებამოსილებები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცა] ფართო საგამოძიებო და აღმასრულებელი უფლებამოსილებები, მათ შორის, დაუყოვნებლივ ყადაღის დადების უფლება, შეზღუდულ საპროცესო ვადებსა და არაპროპორციულ სანქციებთან ერთად, დამატებით აზიანებს სამართლიანობასა და სამართლებრივ პროცესს. ამ ნაკლოვანებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია ცვლილებების გაუქმება“.[85]

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის მარტის ცვლილებებით, უცხოური გრანტების მიღებასთან დაკავშირებული რეგულირება კიდევ უფრო ბუნდოვანი და რეპრესიული გახდა.

---

[77] Venice Commision, Georgia Opinion on the Law on the Registration of Foreign Agents, the Amendments to the Law on Grants and Other Laws Relating to “Foreign Influence”, CDL-AD(2025)034, 2025, par. 120, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e, განახლებულია: 11.05.26.

[78] OSCE Moscow Mechanism Report on Developments in Georgia in Respect of Human Rights and Fundamental Freedoms since Spring 2024, 2026, par. 240. ხელმისაწვდომია: https://odihr.osce.org/sites/default/files/documents/official_documents/2026/03/odgal0009c1%20ODIHR%20NV%2082-2026%20report_Moscow%20Mechanism%20invoked%20in%20respect%20of%20Georgia_0.pdf, განახლებულია: 11.05.26.

[79] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30563, განახლებულია: 19.02.26.

[80] „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5[1] მუხლის პირველი პუნქტი.

[81] იქვე, მე-6[1] - მე-6[4] მუხლები.

[82] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30819, განახლებულია: 06.05.2026.

[83] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება, ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს, 2025 წლის 10 დეკემბერი, გვ. 9-10, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/adamianisuplebebisaqartveloshi-2025-GYLA, განახლებულია: 06.05.2026.

[84] იქვე.

[85] Venice Commision, Georgia Opinion on the Law on the Registration of Foreign Agents, the Amendments to the Law on Grants and Other Laws Relating to “Foreign Influence”, CDL-AD(2025)034, 2025, par. 118-119, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2025)034-e, განახლებულია: 06.05.2026.

14. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა აქტებში (ნარკოპოლიტიკის გამკაცრებასთან დაკავშირებით) – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 აპრილი, 2025 წლის 2 ივლისი

ეს ცვლილებები 2025 წლის 5 მარტს დაინიციირდა და პარლამენტმა ამავე წლის 16 აპრილს მიიღო.[86] შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსს სასჯელის სახით დაემატა სავალდებულო მკურნალობა, რომლის გამოყენებაც არაუმეტეს 2 წლის ვადით შეიძლება.

ამასთანავე, ადმინისტრაციული წესით დასჯადი გახდა შემოწმებისთვის თავის არიდება, ასევე, პრაქტიკა, რომელსაც მიმართავდნენ იძულებით შემოწმებაზე უსაფუძვლოდ გადაყვანილი მოქალაქეები და უარს აცხადებდნენ შესაბამისი საექსპერტო სამსახურისთვის ბიოლოგიური მასალის მიწოდებაზე.[87] ახალი რეგულაციით, ალტერნატიულად, პოლიციელის მიერ გამოწერილი შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, მისი გამოწერიდან არაუგვიანეს 4 საათისა, პირს შეუძლია, საკუთარი ნებით ჩაიტაროს ლაბორატორიული გამოკვლევა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში ან ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტმა 2 ივლისს მიიღო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, გამკაცრდა სისხლისსამართლებრივი სასჯელები მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვასა და მის მოყვანა-დათესვა-კულტივაციასთან დაკავშირებით და სანქციის ერთ-ერთ ფორმად თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა.[88] გარდა ამისა, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონში 2 ივლისს შესული ცვლილებებით, ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელების უფლება ჩამოერთვა კერძო სამედიცინო დაწესებულებებს.[89]

ეს ცვლილებები წარმოშობს მოქალაქეებზე ზემოქმედების ბერკეტებს და საპოლიციო თვითნებობის რისკს, ზრდის სტიგმას და ართულებს სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას.[90]

15. ცვლილებები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 13 მაისი

საკანონმდებლო პაკეტი 2025 წლის 26 მარტს დაინიციირდა და პარლამენტმა იგი 13 მაისს მიიღო.[91]

საკანონმდებლო ცვლილებებით, პოლიტიკური პარტიის აკრძალვის ნორმა გავრცელდა ისეთ პარტიებზე, რომლებიც არსებითად იმეორებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს. აღსანიშნავია, რომ პარტიის „საქმიანობის არსში“ იგულისხმება ასევე პარტიის პერსონალური კონტინგენტი, მათ შორის, საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი პარტიული სიის შემადგენლობა. თუმცა, პარტიის პერსონალური შემადგენლობის მსგავსება უკვე გაუქმებულ პარტიასთან ავტომატურად არ ნიშნავს მათ იდენტურობას — მსგავსების დასადგენად დამატებითი გარემოებებია საჭირო. ამასთანავე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ზუსტდება სარჩელის განხილვის ვადები: ორდინარულ პირობებში სასამართლოს ექნება 9-თვიანი, ხოლო საარჩევნო პერიოდში – 14-დღიანი განხილვის ვადა.[92]

ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით, პარტიის აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ პარტიის მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან, თუ ის ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.[93]

ინიციატივა ემსახურება პოლიტიკური ველის გასუფთავებას, ოპონენტების ჩამოშორებასა და ანტიდემოკრატიული პროპაგანდის გაძლიერებას.[94] იმ პირობებში, როდესაც „ქართულ ოცნებას“ მიტაცებული აქვს, ფაქტობრივად, ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლო, მოსალოდნელია, რომ

---

[86] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30417, განახლებულია: 06.05.2026.

[87] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ნარკოპოლიტიკა და კრიმინალიზაციის ახალი ტალღა: პოპულიზმი, ნამდვილი საჭიროებების გადაჭრის ნაცვლად“, 21.07.2025, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/narkopolitika-da-kriminalizatsiis-akhali-talgha-populizmi-namdvili-sachiroebebis-gadachris-natsvlad, განახლებულია: 06.05.2026.

[88] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31053, განახლებულია: 06.05.2026.

[89] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31045, განახლებულია: 06.05.2026.

[90] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ნარკოპოლიტიკა და კრიმინალიზაციის ახალი ტალღა: პოპულიზმი, ნამდვილი საჭიროებების გადაჭრის ნაცვლად“, 21.07.2025, https://socialjustice.org.ge/ka/products/narkopolitika-da-kriminalizatsiis-akhali-talgha-populizmi-namdvili-sachiroebebis-gadachris-natsvlad, განახლებულია: 06.05.2026.

[91] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30503, განახლებულია: 06.05.2026.

[92] საია, „ქართული ოცნების“ მიერ პოლიტიკური პარტიების გაუქმების შესახებ ინიციირებული ცვლილებები პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგაა მიმართული, 07.04.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/saias-ganckhadeba-politicuri-partiebis-gauqmebis-iniciativaze, განახლებულია: 06.05.2026.

[93] იქვე.

[94] იქვე.

იგი მარტივად, ყოველგვარი აუცილებელი სამართლებრივი დასაბუთების, ფაქტობრივი მტკიცებულებების წარმოდგენისა და გაერთიანების თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების დაცვის გარეშე მოახერხებს პარტიათა საქმიანობის აკრძალვას და პოლიტიკური სპექტრის განადგურებას.[95] ე.წ. „მემკვიდრე პარტიების“ საქმიანობის აკრძალვა და მისი ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გამოიწვევს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენის შეზღუდვას.[96]

16. ცვლილებები საქართველოს პარლამენტის ახალ რეგლამენტში – მიღების თარიღი: 2025 წლის 13 მაისი

2025 წლის 2 თებერვალს „ქართულმა ოცნებამ“ დააინიციირა პარლამენტის განახლებული რეგლამენტი, რომელიც 13 მაისს მიიღო.[97] ახალი რეგლამენტის მიხედვით, ცალკეული საკითხები, როგორებიცაა თანამდებობის პირების არჩევა, დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნა, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა და თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით გადაყენება, აღარ ექვემდებარება საკომიტეტო განხილვას. აღარ არის გათვალისწინებული კომიტეტის სამუშაო ჯგუფის ორგანიზების საკითხებისა და სხდომების ოქმების პარლამენტის ვებგვერდზე განთავსების ვალდებულება.[98]

გაუქმდა მინისტრის საათი და თემატური მოკვლევის ჯგუფი. მინისტრის საათის გაუქმების მიზეზად განმარტებით ბარათში მითითებულია ინტერპელაციის სიხშირის ზრდა, რაც სრულებით გაუგებარი არგუმენტია. ინტერპელაცია მინისტრის საათისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მექანიზმია და მას ვერ ჩაანაცვლებს ვერც შინაარსობრივად და ვერც პროცედურული თვალსაზრისით. ხოლო მინისტრის საათის უბრალოდ გაუქმებით და, სანაცვლოდ, მხოლოდ ინტერპელაციის არსებობის არგუმენტირებით საზედამხედველო მექანიზმები მნიშვნელოვნად დასუსტდება.[99]

გარდა ამისა, დროებით საგამოძიებო კომისიას აღარ აქვს ვალდებულება, თვეში მინიმუმ 2 სხდომა მაინც ჩაატაროს. რეგლამენტით, სხდომების ჩატარების სიხშირის დისკრეცია მთლიანად ამ სუბიექტს გადაეცა. ამასთანავე, დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებები შეიძლება გაფართოვდეს ამ კომისიის დებულებით.[100]

გაუქმდა გენდერული თანასწორობის, ღია მმართველობისა და ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოები.[101]

ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად ასუსტებს ანგარიშვალდებულ პირებთან მიმართებით საკონტროლო მექანიზმებს და ამცირებს საკომიტეტო განხილვებს, ზღუდავს მოქალაქეთა წვდომას საპარლამენტო საქმიანობაზე.[102]

17. ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი

ცვლილებები 2025 წლის 18 ივნისს დაინიციირდა და პარლამენტმა ისინი დაჩქარებული წესით 26 ივნისს მიიღო.[103] შედეგად, შეიცვალა ცილისწამების განმარტება, რომლიდანაც ამოიღეს ზიანის კომპონენტი, შეიცვალა მტკიცების ტვირთი ცილისწამების საქმეებზე და ის მოპასუხის მხარეს გადავიდა, შესუსტდა ცილისწამების საქმეებზე ჟურნალისტის წყაროს საიდუმლოების დაცვის გარანტიები, გაუქმდა კვალიფიციური პრივილეგია მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაციის გავრცელებისთვის.[104]

ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად ასუსტებს იმ სამართლებრივ გარანტიებს, რომელთა მიზანიც საჯარო დისკურსის დაცვა იყო და მედიას (ასევე, სხვა აქტორებს) უფრო მოწყვლადს ხდის სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სამართალწარმოების (SLAPP) დროს.[105]

---

[95] იქვე.
[96] იქვე.
[97] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30551, განახლებულია: 06.05.2026.
[98] საია, „ცვლილებები ახალი რეგლამენტით“, 2025, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%97.pdf, განახლებულია: 06.05.2026.
[99] იქვე.
[100] იქვე.
[101] იქვე.
[102] იქვე.
[103] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31001, განახლებულია: 06.05.2026.
[104] საია, „კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი, 2025 წლის თებერვალი - ივლისი“, 2025, გვ. 18-20, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Kanoni-sitkvis-tsinaagmdeg-saiskvleva-gamokhatvistavisupleba, განახლებულია: 06.05.2026.
[105] იქვე.

18. ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში (სასამართლოში ვიდეო/ ფოტო გადაღების და აუდიოჩაწერის შეზღუდვა) – მიღების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი

ცვლილებები 2025 წლის 18 ივნისს დაინიციირდა და პარლამენტმა ისინი 26 ივნისს დაჩქარებული წესით მიიღო. შედეგად, აიკრძალა სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზსა და ეზოში ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა. ამის უფლება მხოლოდ სასამართლოს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს მიენიჭა.[106]

მანამდე არსებული მოწესრიგებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილი იყო, შეუზღუდავად განეხორციელებინა სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო და აუდიო ჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სასამართლოს განჩინებით, სხდომა ნაწილობრივ ან სრულად დახურული იყო. საზოგადოებრივ მაუწყებელს ასევე ჰქონდა ვალდებულება, ჩანაწერი სხვა მედიასაშუალებებისთვის მოთხოვნისთანავე გადაეცა.[107] აგრეთვე, აქამდე არსებული რეგულაციით, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი სხდომას არ იღებდა, ამ უფლებით სარგებლობა შეეძლო სხვა მაუწყებელს, რისთვისაც საქმის განმხილველი მოსამართლისთვის წერილობით უნდა მიემართა.[108]

ახალი წესებით, იმისთვის, რომ ჟურნალისტებმა სასამართლოსა ან მის ეზოში ვიდეო/ფოტო გადაღება და აუდიოჩაწერა შეძლონ, ყოველ კონკრეტულ სხდომასთან დაკავშირებით ნებართვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან უნდა მიიღონ.[109]

სასამართლოში ფოტო/ვიდეო გადაღების ან აუდიოჩაწერის უფლება შეუზღუდავი არ არის, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდვა არა ბლანკეტურად, არამედ კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლებით დაცული ინტერესების შეფასებისა და დაბალანსების საფუძველზე განხორციელდეს.[110] ეს ცვლილებები არა სხვადასხვა უფლებით დაცული ინტერესების დაბალანსებას, არამედ მედიის საქმიანობის არაპროპორციულ შეზღუდვას და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაშუქების ხელშეშლას ისახავს მიზნად.[111] ამაზე მიუთითებს შეზღუდვის ბლანკეტური ხასიათი და მისი შედეგები პრაქტიკაში: საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სასამართლო ეტაპის სხდომები - ე.წ. პირველი წარდგენის სხდომები - მცირე საპროცესო ვადების გამო, ხშირად მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე ინიშნება.[112] ასეთ ვითარებაში, მედიებს თეორიულადაც კი არ დარჩებათ დრო, რომ ოპერატიულად მიიღონ პასუხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან.[113] კანონმდებლობას არც რაიმე ალტერნატიული მექანიზმი შემოუთავაზებია, რომელიც, საბჭოსგან პასუხის მიუღებლობის ან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უზრუნველყოფდა სხდომის ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისთვის.[114] ეს ბიუროკრატიული მექანიზმი de facto სრულად კრძალავს პროცესებზე ფოტო-ვიდეო გადაღებას და აუდიოჩაწერას. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ, პრაქტიკაში, ჟურნალისტები ვერ ახერხებენ ამ უფლების მოპოვებას.[115]

19. ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში, სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა კანონებში – მიღების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი

„ქართულმა ოცნებამ“ პაკეტი 2025 წლის 16 აპრილს დააინიციირა და 26 ივნისს მიიღო.[116] ცვლილებებით, მნიშვნელოვნად გაუარესდა უცხოელთა მდგომარეობა საქართველოში. მათ შორის, უცხოელის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დადგინდა სასჯელის ახალი სახე – უცხოელის საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა. ამასთანავე, გაძევება და საქართველოში შემოსვლის აკრძალვა განისაზღვრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსითაც, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, წვრილმანი ხულიგნობის, პოლიტიკოსის სიტყვიერი შეურაცხყოფის და მანიფესტაციის შესახებ კანონის მოთხოვნის დარღვევის ჩადენისთვის.

იმავდროულად, მნიშვნელოვნად გამარტივდა ქვეყანაში არალეგალურად მყოფი უცხოელის გაძევების, თავშესაფრის განხილვის პროცედურები და შესუსტდა პირის უფლებების დაცვის გარანტიები.

ეს ცვლილებები ქმნის ბერკეტს სახელმწიფოსთვის, ქვეყნიდან გააძევოს საქართველოში კანონიერად მყოფი

[106] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31004, განახლებულია: 06.05.2026.
[107] საია, „კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი, 2025 წლის თებერვალი - ივლისი“, 2025, გვ. 17-18, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Kanoni-sitkvis-tsinaagmdeg-saiskvleva-gamokhatvistavisupleba, განახლებულია: 06.05.2026.
[108] იქვე.
[109] იქვე.
[110] იქვე.
[111] იქვე.
[112] იქვე.
[113] იქვე.
[114] იქვე.
[115] იქვე.
[116] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/30617, განახლებულია: 23.02.26.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები.[117] ეს პირდაპირი სიგნალია არაერთი უცხოელი აქტივისტისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ საქართველოში რჩებიან, რომ, მათ შესაძლოა, მოუწიოთ ქვეყნის დატოვება და ხელახალი მიგრაცია, თუკი „ქართულ ოცნებას“ გააკრიტიკებენ, ან პოლიტიკური შინაარსის აქციებში მიიღებენ მონაწილეობას.[118]

20. ცვლილებები „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში – მიღების თარიღი: 2025 წლის 2 ივლისი

პაკეტი „ქართულმა ოცნებამ“ 2025 წლის 25 ივნისს დააინიციირა და 2 ივლისს დაჩქარებული წესით მიიღო.[119] ცვლილებებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი ტერმინი - პირის იდენტიფიცირების შეზღუდვა, რაც გულისხმობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასა ან ფარულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის ვინაობის დაფარვას, ნებისმიერი სახის საიდენტიფიკაციო მახასიათებლის დაშტრიხვით, დაბლარვით, ვიზუალიზაციის შეზღუდვისთვის კომუნიკაციის დისტანციური საშუალებების გამოყენებით ან/და ნებისმიერი სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გამორიცხავს მისი ვინაობის იდენტიფიცირებას ან/და ამოცნობას.

გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, პროკურორს მიენიჭა დისკრეცია, მიიღოს გადაწყვეტილება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასა ან ფარულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე იმ პირის ვინაობის დაფარვასთან დაკავშირებით, რომელიც თანამშრომლობს გამოძიებასთან, თუ მისი გამჟღავნებით ზიანი ადგება ამ პირის უსაფრთხოებას ან/და არსებითად ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესს.

ამასთანავე, დაცვის მხარეს ამ მოქმედებისა და ყველა სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ამსახველი მტკიცებულებები გადაეცემა ამ პირის ვინაობის იდენტიფიცირებისგან დამცავი და ამოცნობის შესაძლებლობის შემზღუდავი ფორმით.

წარმოდგენილი ცვლილებებით, აბსოლუტურად უგულებელყოფილია დაცვის მხარის ინტერესები და გაუმართლებლად უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ბრალდების მხარეს, რითაც ირღვევა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.[120] დაცვის მხარე ვერ დაადგენს მოწმის ვინაობას და ვერც იმას, ნამდვილად უშუალოდ ის პირი ერთვება სასამართლოს, რომელმაც კონკრეტულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა თუ არა.[121] დაცვის მხარეს არ შეუძლია, გაასაჩივროს პროკურორის ეს გადაწყვეტილება, შესაბამისად, მას არ აქვს უფლების დაცვის საშუალება ამ კონტექსტში. დაცვის მხარისთვის მსგავსი აკრძალვა არის ბლანკეტური და არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს.[122]

21. ცვლილებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონში და გამომდინარე ცვლილებები სხვა საკანონმდებლო აქტებში – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 ოქტომბერი

2025 წლის 13-16 ოქტომბრის შუალედში დაჩქარებული წესით მიიღეს ცვლილებები, რომელთა მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალულ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ პირებს ეკრძალებათ პარტიული საქმიანობა (მათ შორის, პარტიის დაარსება, პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება), სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის დაკავება, ასევე არჩევნებში მონაწილეობა.[123] საიას შეფასებით, ბუნდოვანია პარტიასთან დაკავშირებული პირის ცნება, რაც ტოვებს ინტერპრეტაციის ფართო არეალს და ქმნის მისი ბოროტად გამოყენების რისკს, რომ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების აქტივობა სასამართლოს მეშვეობით მარტივად შეიზღუდოს პარტიასთან „დაკავშირებული პირის“ სტატუსით.[124]

22. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში – მიღების თარიღი: 2025 წლის 16 ოქტომბერი

ცვლილებები 2025 წლის 8 ოქტომბერს დაინიციირდა და პარლამენტმა დაჩქარებული წესით 16 ოქტომბერს მიიღო.[125] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილი ცვლილებებით შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემო კიდევ უფრო გაუარესდა.

---

[117] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება“ უცხოელების სამართლებრივ მდგომარეობას კატასტროფულად აუარესებს, 13.05.2025, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsneba-utskhoelebis-samartlebriv-mdgomareobas-katastrofulad-auaresebs, განახლებულია: 23.02.26.
[118] იქვე.
[119] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31055, განახლებულია: 23.02.26.
[120] საია, „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასა ან ფარულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის ვინაობის სრულად დაფარვით „ქართული ოცნება“ დაცვის მხარის უფლებრივ მდგომარეობას აუარესებს“, 03.07.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/sagamodziebo-moqmedebashi-piris-vinaobis-daparva-saia-gancxadeba, განახლებულია: 23.02.26.
[121] იქვე.
[122] იქვე.
[123] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31315, განახლებულია: 23.02.26.
[124] ,,ქართული ოცნების“ ინიციატივა - ინდივიდების პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/GYLA-politikuri-saqmianobis-akrdzalvis-shesaxeb, განახლებულია: 23.02.26.
[125] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31311, განახლებულია: 04.05.2026.

გარკვეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გაიზარდა სანქციები, მათ შორის, შეკრებაზე სახის დაფარვისა და ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვისთვის ადმინისტრაციული სახდელის ერთადერთ ფორმად ადმინისტრაციული პატიმრობა განისაზღვრა.[126] სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევისა და პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირს იმავე ქმედების ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება.[127] ეს ცვლილებები ძირს უთხრის შეკრების თავისუფლებას და ამ უფლებით სარგებლობის ეფექტიან კრიმინალიზებას ემსახურება. ეუთო/ოდირმა ცვლილებები მკაცრად გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ისინი შემაშფოთებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან შეუსაბამობის გამო, შესაბამისად, სახელმწიფოს მათი გაუქმებისკენ მოუწოდა.[128]

23. ცვლილებები „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში და გამომდინარე ცვლილებები – მიღების თარიღი: 2025 წლის 9 დეკემბერი

„ქართულმა ოცნებამ“ 2025 წლის 23 ივლისს დააინიციირა და 2025 წლის 9 დეკემბერს მიიღო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან/და ტოქსიკომანიით დაავადებულ პირთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას. ბაზას ადმინისტრირებას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.[129]

განმარტებითი ბარათის მიხედვით, „ინფორმაციის დროული და სანდო წყაროს არარსებობის პირობებში სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდ ვერ ხორციელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისკენ მიმართული მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება“, ხოლო „ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის არსებობა მეტად მოქნილსა და ეფექტიანს გახდის სახელმწიფო ორგანოთა, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციონირებას და, ასევე, გაზრდის მათ მიერ მოპოვებული მონაცემების სანდოობის ხარისხს“.[130]

ეს კანონი მნიშვნელოვან საფრთხეებს ქმნის ადამიანთა პერსონალური მონაცემების, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ინსტრუმენტალიზებისა და ბოროტად გამოყენების კუთხით. სახალხო დამცველის შეფასებით, „საკანონმდებლო ცვლილება შეიცავს როგორც დისკრიმინაციული პრაქტიკების წარმოშობის და გავრცელების რისკს, ისე უკავშირდება საკანონმდებლო ნორმ(ებ)ის პრაქტიკული აღსრულების გამოწვევებს, ვინაიდან, აღნიშნული ცვლილებები შეიძლება გახდეს სტიგმის განმამტკიცებელი ყველაზე მოწყვლადი ადამიანების მიმართ. სახელმწიფოს მომეტებული პასუხისმგებლობა ეკისრება, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე განახორციელოს დროული ინტერვენცია, სხვა შემთხვევაში, კონკრეტული დაუცველი ჯგუფები ავტომატურად წარმოდგენილნი იქნებიან, როგორც მომეტებული საფრთხის შემცველნი, მაშინ, როცა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები/დამოკიდებულება თავისთავად რისკი და საფრთხე არაა და არ წარმოადგენს უშუალო დამაზიანებელი ქმედების გამომწვევ ფაქტორს. შემოთავაზებული ცვლილებები კი, ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს და შექმნის დამაშინებელ გარემოს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომის თვალსაზრისით“.[131] სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს, რომ ცვლილებები არ შეიცავს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ნაკლებად მზღუდავ ზომებს და უფლების დაცვის პროცედურულ გარანტიებს.[132]

Human Rights Watch-ის შეფასებით, „განსაკუთრებულად სენსიტიური პერსონალური მონაცემების ფართო დამუშავებისა და პოლიციისთვის სამედიცინო ისტორიებზე წვდომის გაფართოებით, ეს ბაზა ქმნის სტიგმის, დისკრიმინაციისა და არაერთი უფლების დარღვევის ხელშეწყობის რისკს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეაჩეროს აღნიშნული ბაზის იმპლემენტაცია, სანამ ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მყარი გარანტიები არ იქნება მიღებული“.[133]

---

[126] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება, „ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს, 2025 წლის 10 დეკემბერი“, გვ. 19-20, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/adamianisuplebebisagartveloshi-2025-GYLA, განახლებულია: 06.05.2026.

[127] იქვე.

[128] OSCE ODIHR, Urgent Opinion on the Amendments to the Code of Administrative Offences and the Criminal Code of Georgia (as adopted on 16 October 2025), 2025, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/601503, განახლებულია: 06.05.2026.

[129] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/28951, განახლებულია: 11.05.26.

[130] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/383199, განახლებულია: 07.05.2026.

[131] სახალხო დამცველის სამართლებრივი შეფასება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და თანხმლები საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, 22.04.2026, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-samartlebrivi-shefasebaiaraghis-shesakheb-sakartvelos-kanonshi-tsvlilebisa-da-tankhmlebi-sakanonmdeblo-tsvlilebebis-taobaze, განახლებულია: 07.05.2026.

[132] იქვე.

[133] Human Rights Watch, Georgia's New Database Raises Serious Rights Concerns, ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/news/2026/05/05/georgias-new-database-raises-serious-rights-concerns, განახლებულია: 07.05.2026.

24. ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2025 წლის 10 დეკემბერი

2025 წლის 8-10 დეკემბრის შუალედში დაჩქარებული წესით მიიღეს ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, აიკრძალა ხალხის სავალი ნაწილის ხელოვნური გადაკეტვა (აქამდე ეს შეზღუდვა მხოლოდ ტრანსპორტის სავალ ნაწილზე ვრცელდებოდა) და გაჩნდა მსს-ს გაფრთხილების ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ შეკრება ხალხის სავალ ადგილზე იმართება.[134] მსს-ს განესაზღვრა უფლებამოსილება, განიხილოს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილის ან/და დროის, სვლაგეზის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი და, წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, მისცეს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითება. ასევე, ხალხის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, მსს უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება გახსნის ან/და ხალხის მოძრაობის აღდგენის შესახებ. გაფრთხილების წესის დარღვევა ან სავალდებულო მითითების შეუსრულებლობა ისჯება ადმინისტრაციული პატიმრობით. ამასთანავე, 2025 წლის ოქტომბერში სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, ეს ნიშნავს, რომ ამ ქმედებისთვის სახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენა, ამ კოდექსის 347-ე მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს (თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, შეკრების თავისუფლება მოიცავს შეკრების ადგილისა და დროის შერჩევის თავისუფლებასაც.[135] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს გარკვეული მიმღებლობა ისეთი შეკრებების მიმართ, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების შეფერხებას იწვევს.[136] გარდა ამისა, იმისთვის, რომ გაფრთხილების სისტემის არსებობა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ის არასდროს არ უნდა იქცეს *de facto* ნებართვის პროცედურად.[137]

შეკრების ადგილისა და დროის შერჩევის შესაძლებლობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც,[138] რომელიც აღნიშნავს, რომ შეკრებისთვის ხელისუფლებისგან თანხმობის აუცილებლობა ძირს უთხრის იდეას, რომ შეკრების თავისუფლება ძირითადი უფლებაა.[139] კომიტეტის თანახმად, გაფრთხილების სისტემა შეკრების უფლების შეფერხების მეთოდად არ უნდა იქცეს და, მხოლოდ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირს არაპროპორციული სანქციები არ უნდა დაეკისროს.[140]

ეს ცვლილებები სცდება საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ უფლების შეზღუდვის საფუძვლებს და განეკუთვნება არა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას, არამედ შეკრების თავისუფლების ეფექტიანი კრიმინალიზებისთვის გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს. ცვლილებები, ფაქტობრივად, არ ტოვებს სივრცეს, რომელშიც შეკრება *de facto* თანხმობას არ ექვემდებარება.[141]

25. განახლებული საარჩევნო კოდექსი – მიღების თარიღი: 2026 წლის 17 დეკემბერი

„ქართულმა ოცნებამ“ განახლებული საარჩევნო კოდექსი 2026 წლის 12 ნოემბერს დააინიციირა და 17 დეკემბერს მიიღო.[142] ცვლილებების შედეგად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს მოქალაქეები ვეღარ შეძლებენ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, რაც არსობრივად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ არჩევნების საყოველთაობის პრინციპს.[143]

ეს აკრძალვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ საყოველთაო საარჩევნო უფლებას. ახალი რეგულაცია არ ემსახურება არავითარი ღირებული კონსტიტუციური ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ფაქტობრივად, ის ქმნის ხელოვნურ ფინანსურ და სოციალურ ბარიერს – ფრენების მაღალი ხარჯის, სამუშაოდან იძულებით დათხოვნის და ამასთან დაკავშირებული სხვა წნეხის სახით – რაც საქართველოს ასობით ათას ემიგრანტს უბიძგებს, პრაქტიკულად, დათმოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ შრომის ფასად მიღებული

[134] ცვლილებების პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31646, განახლებულია: 23.02.26.
[135] ECtHR, Sáska v. Hungary, 58050/08, 27.11.2012, par. 21.
[136] ECtHR, Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], 37553/05, 15.10.2015, par. 155; Malofeyeva v. Russia, 36673/04, 30.05.2013, par. 136-37.
[137] Venice Commission, OSCE ODIHR, GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), 2020, par. 25, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017rev-e, განახლებულია: 06.05.2026.
[138] Human Rights Committee, General comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), par 22.
[139] იქვე, პარ. 70-71.
[140] იქვე.
[141] საია, „ქართული ოცნება“ შეკრების თავისუფლებაზე არაკონსტიტუციურ შეტევას ახალი საკანონმდებლო ინიციატივით განაგრძობს, 09.12.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/GYLA-shekrebistavisuplebaze-shetevisshesaxeb, განახლებულია: 23.02.26.
[142] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31490, განახლებულია: 11.05.26.
[143] საია, „საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია“, 18.11.2025, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/sazgvargaret-xmismicemis-upleba-saia, განახლებულია: 11.05.26.

შემოსავალი ხშირად კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც თავად ემიგრანტებისთვის, ისე მათი ოჯახის წევრებისთვის.[144]

ამ რეგულაციასთან დაკავშირებით 2026 წელს საიამ საფრანგეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ემიგრანტების სახელით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.[145]

26. ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში – მიღების თარიღი: 2026 წლის 4 თებერვალი

2026 წლის 2-4 თებერვლის შუალედში პარლამენტმა მიიღო „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების პაკეტი.[146] ცვლილებების მიხედვით, მარტივდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეორგანიზაცია, რომელიც შეიძლება წამოიწყოს მთავრობამ.[147] ამასთანავე, მინისტრის ბრძანებით, შესაძლებელია რექტორის, მისი მოადგილის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა და დროებითი მმართველი ორგანოების შექმნა.[148] ცვლილებები, რეორგანიზაციის ფარგლებში, ამარტივებს არასასურველი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეცვლას, რაც უნივერსიტეტების ინსტრუმენტალიზაციაა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ეძლევა საშუალება, პოლიტიკურად მიუღებელი უნივერსიტეტების ხელმძღვანელი პირები თუ ორგანოები ჩაანაცვლოს პარტიის მიმართ ლოიალურად განწყობილი პირებით. ეს კი უნივერსიტეტის ავტონომიაში ჩარევის მაგალითია.

27. ცვლილებები „გრანტების შესახებ“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში – მიღების თარიღი: 2026 წლის 4 მარტი

ცვლილებების პაკეტი 2026 წლის 21 იანვარს დარეგისტრირდა და პარლამენტმა 4 მარტს მიიღო.[149]

ცვლილებები კიდევ უფრო ამკაცრებს პასუხისმგებლობას მთავრობის თანხმობის გარეშე უცხოური გრანტის მიღებისთვის და სამოქალაქო საქმიანობის ფაქტობრივ კრიმინალიზებას იწვევს. დადგინდა სისხლისსამართლებრივი სანქციები, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა ექვს წლამდე ვადით.[150] ამასთანავე, გაფართოვდა „გრანტის“ განსაზღვრება და მასში მოიაზრება ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები, რომლებიც ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს: (ა) საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებსა ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოსახდენად განხორციელებულ ან განსახორციელებელ ისეთ საქმიანობას, რომელიც საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისა ან შეცვლისკენ არის მიმართული; (ბ) ისეთ საქმიანობას, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.[151] ასეთი ფართო და არაპროგნოზირებადი განსაზღვრება ქმნის მსუსხავ ეფექტს ლეგიტიმურ სამოქალაქო აქტივიზმზე. იმავდროულად, კანონი თანხმობის მიღების ვალდებულებას ავრცელებს სხვა სახელმწიფოს იურიდიულ პირებზეც, რომელთა საქმიანობა „არსებითად მოიცავს საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტივობას“.[152]

გარდა ამისა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით, დაუშვებელია, პარტიის წევრი იყოს პირი, რომელმაც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციასთან“ დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, სრულად ან ნაწილობრივ მიიღო შემოსავალი. ხსენებულ პირს ეკრძალება პარტიის წევრობა იმ კალენდარული წლიდან 8 წლის განმავლობაში, როდესაც მან ბოლოს მიიღო შემოსავალი ასეთი ორგანიზაციისგან.[153] კანონში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ განმარტება არის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონში (რუსულ კანონში) გამოყენებული განმარტების იდენტური. ეს ცვლილებები, ფაქტობრივად, აუქმებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა პასიურ საარჩევნო უფლებებს.

ამ ცვლილებებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმაც და აღნიშნა, რომ ისინი არ შეესაბამება საქართველოს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აღებულ ვა-

---

[144] საია საქართველოს ემიგრანტი მოქალაქეების საარჩევნო უფლების დასაცავად სტრატეგიულ სამართალწარმოებას იწყებს, 14.04.2026, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/GYLA-emigrantebis-xmisuplebistvis, განახლებულია: 11.05.26.
[145] იქვე.
[146] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31757, განახლებულია: 23.02.26.
[147] კანონპროექტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/414679, განახლებულია: 23.02.26.
[148] იქვე.
[149] პაკეტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/31739, განახლებულია: 06.05.2026.
[150] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 319[1].
[151] გრანტების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2, პუნქტი 1[4].
[152] გრანტების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5[2], პუნქტი 2.
[153] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 3.

ლდებულებებს გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.[154] კომისარმა პარლამენტს მოუწოდა, უარი ეთქვა ამ ცვლილებებზე.[155]

ამავე პაკეტის ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა[156] და სისხლის სამართლის კოდექსში[157] შეტანილი ცვლილებები მეწარმე იურიდიულ პირს უკრძალავს ისეთ საჯარო პოლიტიკურ აქტივობას, რომელიც „მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის", იმავდროულად, შემოაქვს ადმინისტრაციული ჯარიმები პირველადი დარღვევისთვის, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – განმეორებითი ქმედებისთვის. ტერმინი „პოლიტიკური საქმიანობა" განიმარტება ფართოდ და მოიცავს „საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებსა ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოსახდენად განხორციელებულ ან განსახორციელებელ ისეთ საქმიანობას, რომელიც საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისა ან შეცვლისკენ არის მიმართული, აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს". ასეთი რეგულირება ქმნის რისკს, რომ ჩვეულებრივი გამოხატვა საჯარო საკითხებზე გახდეს ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სანქციის საფუძველი.

გარდა ამისა, ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ნორმა „ექსტრემიზმის" შესახებ, რომლის მიხედვითაც, ექსტრემიზმი განიმარტება, როგორც: *„საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მასობრივად დარღვევისკენ, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებისადმი მასობრივად დაუმორჩილებლობისკენ, საქართველოს ხელისუფლების ორგანოების ალტერნატიული ორგანოების შექმნისკენ სისტემატურად საჯაროდ მოწოდება, ამავე პირის მიერ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლად სხვისი ან საკუთარი თავის თვითნებურად, საჯაროდ და სისტემატურად წარმოჩენა ან ამავე პირის მიერ ჩადენილი სხვა საჯარო და სისტემატური მოქმედება, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე აღნიშნული მოქმედება მიმართულია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ან კონსტიტუციური ორგანოების არალეგიტიმურობის შესახებ აღქმის დამკვიდრებისკენ და აზიანებს საქართველოს ინტერესებს ან მიმართულია ასეთი აღქმის დამკვიდრებისკენ და ქმნის საქართველოს ინტერესების დაზიანების რეალურ საფრთხეს"*. ნორმა სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იურიდიული პირისთვის – ჯარიმას ლიკვიდაციით ან მის გარეშე.[158]

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს სისხლის სამართლის კოდექსში უკვე არსებული მთელი კარი ეთმობა, რომელიც იცავს კონსტიტუციურ წყობილებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლებს.[159] ეს ნორმები ფარავს ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი შეცვლა, სახელმწიფო გადატრიალება, აჯანყება, ხელისუფლების მიტაცება, ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდება და სხვა. შესაბამისად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივ ან ორგანიზებულ საფრთხეებს უკვე არეგულირებს მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო.[160] შემოთავაზებული ახალი მუხლი კი, რომელიც ხელისუფლების არაღიარებასთან, არალეგიტიმურობის აღქმის დამკვიდრებასა ან მასობრივი დაუმორჩილებლობისკენ სისტემატურ მოწოდებასთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზებას ახდენს, აჩენს ნორმატიული დუბლირების და სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გაფართოების რისკს.[161] თუ ხსენებული ქმედებები არ შეიცავს ძალადობის რეალურ, უშუალო და კონკრეტულ საფრთხეს, მათი კრიმინალიზაცია სცდება სახელმწიფოს უსაფრთხოების კლასიკურ დაცვას და გადადის პოლიტიკური გამოხატვის რეგულირების სფეროში.[162] განსაკუთრებით პრობლემურია ისეთი შეფასებითი და ფართო კატეგორიების მითითება, როგორებიცაა „არალეგიტიმურობის აღქმის დამკვიდრება" ან „სახელმწიფოს ინტერესების დაზიანება", რადგან ისინი არ აკმაყოფილებს სამართლებრივი განსაზღვრულობის მოთხოვნას.[163]

---

[154] Commissioner for Human Rights, Georgian Parliament should reject amendments stifling civil society, 02.02.2026, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgian-parliament-should-reject-amendments-stifling-civil-society?fbclid=IwY2xjawP2pEtleHRuA2FlbQIxMABicmlkETFieUg4T1VwcUJhUERFU0Ztc3J0YwZhcHBfaWQQMjIyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHo76ZZvY2x4Je5y5KrzOHdMiectyrHWn4UyphPpnQ6valWk_TdTSVPdgOBCb_aem_L8JxWcGXAOMHBmJuLMIV6A, განახლებულია: 06.05.2026.

[155] იქვე.

[156] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 153^{13}.

[157] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 355^{3}.

[158] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 316^{1}.

[159] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კარი 11.

[160] საიას შეფასება „ექსტრემიზმთან" დაკავშირებით ინიციირებული ცვლილებების შესახებ, 2026, გვ. 4-5, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91.pdf, განახლებულია: 06.05.2026.

[161] იქვე.

[162] იქვე.

[163] იქვე.

II. ტენდენციების შეფასება და შეჯამება

კვლევამ აჩვენა, რომ კანონმდებლობის პერსონიფიცირება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია საქართველოში. გამოცდილება მიუთითებს, რომ 2024 წლის არჩევნების შემდგომ პარლამენტმა არაერთი ცვლილება მიიღო დაჩქარებული წესით, რომლის მიზანიც არჩევნების შემდგომი პროტესტის ჩახშობა იყო. ამასთანავე, კანონების პერსონიფიცირება გამოიხატა პოლიტიკური ოპონენტების უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებაში. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ასეთი ცვლილება საკმარისი მსჯელობის და განხილვის შემდგომ მიიღებოდეს. რაც უფრო მომეტებულია კანონით ძირითად უფლებაში ჩარევა, მით უფრო დელიბერაციული უნდა იყოს ასეთი ნორმის საკანონმდებლო განხილვა.

საკანონმდებლო პროცესის მკვეთრი ავტორიტარული შემოტრიალება 2024 წლის მაისში, რუსული კანონის (უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ) კანონის მიღებით დაიწყო. კანონი სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზაციისკენ, მათი საქმინობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და მწვავე კრიტიკას იმსახურებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნებისაგან. აღსანიშნავია, რომ თავად საკანონმდებლო პროცესი კანონის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ძალადობრივი დარბევების, აქტივისტების დაშინების და სისტემურ უფლებადარღვევების ფონზე წარიმართა.[164] ამავე წელს, სექტემბერში პარლამენტმა მიიღო ჰომოფობიური/ტრანსფობიური კანონები, რომლებიც დეზინფორმაციულ, სიძულვილის შემცველ ნარატივებს ეფუძნებოდა. 2025-2026 წლებში სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო რეპრესიული გახდა. 2025 წლის აპრილში მარლამენტმა მიიღო ე.წ. FARA, რომელიც შესაძლებელს ხდის ბუნდოვანი კრიტერიუმებით მოხდეს ორგანიზაციების და პირების „აგენტად“ სტიგმატიზაცია და აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რეგისტრაციის ვალდებულების დარღვევისთვის. 2025 წლის მაისში გრანტების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები კრძალავს მთავრობის თანხმობის გარეშე უცხოური გრანტის მიღებას. 2026 წლის მარტში გრანტების მომწესრიგებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო გამკაცრდა და სამოქალაქო საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობისთვის დაფინანსების მიღების ფაქტობრივი კრიმინალიზება მოახდინა.

2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, რეპრესიული კანონშემოქმედება უფრო აქტიური და მასშტაბური გახდა. საკანონმდებლო ცვლილებებმა უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული და ადამიანის უფლებათა საკითხები მოიცვა და მათი მომწესრიგებელი საკანონმდებლო ჩარჩო მკვეთრად შეცვალა. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებამდე ცოტა ხნით ადრე, 2024 წლის 28 ნოემბერი - 7 დეკემბრის პერიოდში ქართულმა ოცნებამ მშვიდობიანი, მასშტაბური საპროტესტო აქციების წინააღმდეგ სისტემური წამება და არაადამიანური მოპყრობა გამოიყენა.[165]

2024 წლის დეკემბერში საკანონმდებლო ცვლილებების გზით მნიშვნელოვნად გაიზარდა საპროტესტო გამოხატვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული სანქციები. ასევე, ფუნდამენტურად შეიცვალა საჯარო სამსახურის სისტემა, რამაც მოხელეების თანამდებობიდან გათავისუფლება და, შესაბამისად, პოლიტიზირებული წმენდის ჩატარება მნიშვნელოვნად გაამარტივა.

2025 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში და სისხლის სამართლის კოდექსში რამდენიმე ტალღად განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეკრებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ჩარჩო უფრო და უფრო რეპრესიული ხდებოდა. უკვე 2025 წლის ბოლოს საკანონმდებლო მოწესრიგება შეკრებების ფაქტობრივი კრიმინალიზების შესაძლებლობას ქმნიდა: საკანონმდებლო ჩარჩო, დღეის მდგომარეობით, ითვალისწინებს შეკრების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფრთხილების ვალდებულებას, რომელიც შინაარსით ნებართვის მიღების ვალდებულებას უტოლდება, იმის გათვალიწინებით, რომ შესაძლებლობას აძლევს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეცვალოს შეკრების დრო, ადგილი, სვლა-გეზი, ასევე, ხალხის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, მსს უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება გახსნის ან/და ხალხის მოძრაობის აღდგენის შესახებ. გაფრთხილების წესის დარღვევა ან სავალდებულო მითითების შეუსრულებლობა ისჯება ადმინისტრაციული პატიმრობით. ამ ქმედებისთვის სახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს (თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით).

ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყო ასევე გამოხატვის თავისუფლება. 2025 წლის თებერვალში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაჩნდა მუხლი, რომელიც საჯარო მოსამსახურეებისა და თანამდებობის პირების შეურაცხყოფის დასჯადობას აწესებდა. ნორმა ფორმულირებული არის ისე, რომ ქმნის თვითნებური გამოყენების მაღალ რისკს. ამასთან, 2025 წელს განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაუარესდა მედიის მდგომარეობა: აიკრძალა მაუწყებლების მიერ უცხოური დაფინანსების მიღება,

[164] საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში, https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociaciam-moamzada-specialuri-angarishi-saqartvelo-adamianis-uflebebi-rusuli-kanonis-pirispir?fbclid=IwY2xjawSMzZJleHRuA2FlbQIxMABicmlkETE0TWUxdmxNNUxsMFowMjRCc3J0YwZhcHBfaWQQMjIyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHqStNAWwvGC6z3uIxs4KSmCnFsbtWu7wqzMvvzqN1TKzsd76m3ojf2gaOxSB_aem_ETaEEKQ6O9o3M3fiuHEuAA#sthash.O5VapreT.dpbs, განახლებულია: 06.05.2026.

[165] საია და სხვები, ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი, 2025, https://www.gyla.ge/post/adamianis-uplebata-krizisi-dokumentirebis-angarishi, განახლებულია: 06.05.2026.

მაუწყებლობის შესახებ კანონში შემოღებულ იქნა მიუკერძოებლობის ბუნდოვანი ვალდებულებები, ფაქტობრივად, სრულად აიკრძალა სასამართლოში ფოტო-ვიდეო გადაღება და აუდიო ჩაწერა.

ამ ცვლილებებს, 2025 წლის განმავლობაში თან ახლდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული ისეთი ცვლილებები, რომლებიც ხელისუფლების მიერ რეპრესიული კონტროლის საფრთხეს ქმნის, მაგალითად, ცვლილებები უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რომლებიც საფრთხეში აგდებს აკადემიურ დამოუკიდებლობას; ცვლილებები მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანთა ერთიანი ბაზის შექმნის შესახებ, რაც საფრთხეში აგდებს ამ ადამიანების პერსონალურ ინფორმაციას და სახელმწიფოს მიერ მათი ბოროტად გამოყენების რისკებს ქმნის; ცვლილებები უცხოელთა და მოქალაქეობის არმოქნე პირთა შესახებ კანონში, რაც უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას აუარესებს და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ უცხოელთა დასჯის მექანიზმად შეიძლება იქცეს. 2025 წელს განხორციელებული ცვლილებები ასევე მიმართული იყო პოლიტიკური პლურალიზმის წინააღმდეგ, რაც პარტიათა საქმიანობის აკრძალვის გამარტივებაში გამოიხატა.

აღსანიშნავია, რომ რეპრესიული, პერსონიფიცირებული კანონშემოქმედების ტენდენცია აქტიურად გრძელდება 2026 წელსაც. 2026 წლის მარტში მიღებული მოცულობითი საკანონმდებლო ცვლილებებით ქართულმა ოცნებამ გააფართოვა გრანტის მნიშვნელობა და შემოიტანა მთავრობის თანხმობის გარეშე გრანტის მიღებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მათ შორის 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, პირს, რომელმაც ე.წ. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციასთან“ დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო შემოსავალი, აეკრძალა პოლიტიკური პარტიის წევრობა იმ კალენდარული წლიდან 8 წლის განმავლობაში, როდესაც მან ეს შემოსავალი მიიღო.

ამავე ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიზღუდა სამეწარმეო იურიდიული პირების გამოხატვის თავისუფლება და მათ აეკრძალათ ისეთი საჯარო პოლიტიკური აქტივობა, რომელიც „მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის“. გარდა ამისა, ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ნორმა „ექსტრემიზმის“ შესახებ, რომელიც ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნებს.

ზემოთ განხილული შემთხვევები ზღუდავს ადამიანის უფლებებს და აუარესებს ინდივიდის სამართლებრივ მდგომარეობას. ამასთანავე, თითოეული მათგანი მიმართულია მმართველი ელიტისთვის პოლიტიკურად მიუღებელი პირების დასჯისკენ. ეს კი კანონმდებლობის პერსონიფიცირებაა. გარდა ამისა, ის, რაც მოცემულ შემთხვევებს ძალადობრივი კანონშემოქმედების მაგალითებად აქცევს, უფლებაში ჩარევის მომეტებული ხარისხის გარდა, დროის მოკლე პერიოდში მათი მიღებაა, დელიბერაციის გარეშე. 3-დონიანი დემოკრატიის ფარგლებში პარლამენტი ყოველდღიურ საქმიანობაში მოქმედებს ე.წ. საკანონმდებლო დონეზე.[166] ეს კი გულისხმობს მიმდინარე კანონმდებლობებისა და პოლიტიკური საკითხების გადაჭრას.[167] 3-დონიანი დემოკრატიის ჭრილში ეს ყველაზე დაბალი დონეა, რომლის ფარგლებშიც საპარლამენტო კანონშემოქმედებითი ძალაუფლება ყველაზე მეტად არის შებოჭილი. კანონშემოქმედების პროცესში აუცილებელია გარკვეული პრინციპების დაცვა. ესენია: ინფორმირებულობა, დელიბერაცია და ქმედითი, ეფექტიანი პროცესი, რაც უზრუნველყოფს კარგი კანონების მიღებას.[168] მნიშვნელოვანი საკანონმდებლო გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს საკმარისი და რელევანტური ინფორმაციის მოპოვებით, ყველა არგუმენტისა და მოსაზრების გაცვლით და, რაც მთავარია, საკმარისი დროითი რესურსის გამოყოფით.[169] ამიტომ, კანონშემოქმედების პროცესი დელიბერაციის, ღიაობის, ყველა მნიშვნელოვანი აქტორის ჩართულობითა და მათ მიერ აზრის გამოთქმის ფონზე უნდა მიმდინარეობდეს. მას უნდა დაეთმოს საკმარისი დრო, რათა ნორმის ადრესატებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მასზე საკუთარი მოტივირებული პოზიცია გამოხატონ. რაც უფრო მომეტებულია ძირითად უფლებაში ჩარევა, მით უფრო დელიბერაციული უნდა იყოს საკანონმდებლო პროცესი.

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის აპრილში „ღია მმართველობის პარტნიორობამ“ (OGP) საქართველოსთვის წევრობის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო.[170] OGP აერთიანებს დემოკრატიულ და დემოკრატიის გზაზე მდგომ ქვეყნებს, რომლებიც იღებენ ვალდებულებას, გახდნენ უფრო გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანნი საკუთარი მოქალაქეების წინაშე. ეს არის სივრცე, სადაც მთავრობები და სამოქალაქო საზოგადოება ერთად მუშაობენ კორუფციის შემცირებაზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებაზე. წლების განმავლობაში საქართველო ამ მიმართულებით ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად მიიჩნეოდა.[171]

[166] Roznai, Y., Unconstitutional Constitutional Amendments: the Limits of Amendment Powers, Oxford University Press, 2017, 127.
[167] იქვე.
[168] Ranchordás, S., Constitutional Sunsets and Experimental Legislation: A Comparative Perspective, Edward Elgar Publishing, 2014, 3.
[169] იქვე.
[170] OGP, Georgia Permanently Suspended from the Open Government Partnership Following Response Policy Review, 22.04.2026, ხელმისაწვდომია: https://www.opengovpartnership.org/news/georgia-permanently-suspended-from-the-open-government-partnership-following-response-policy-review/, განახლებულია: 07.05.2026.
[171] საია, „საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობიდან“ გარიცხეს“, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/ertoblivi-gancxadeba-OGP, განახლებულია: 07.05.2026.

გადაწყვეტილებას წინ უძღოდა 2024 წელს საქართველოსთვის წევრობის შეჩერება სამოქალაქო თავისუფლების და ფუნდამენტური უფლებების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ღონისძიებების გამო.[172] OGP-მ მაშინ საქართველოს დროებით შეუჩერა წევრობა და მთავრობას მისცა კონკრეტული ვადა, 2025 წლის ბოლომდე, შეესრულებინა 2 რეკომენდაცია: (1) გაეუქმებინა ყველა ის კანონი, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და მოქალაქეების უფლებებს ზღუდავდა; (2) უზრუნველეყო გამოხატვის, შეკრების თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა ფიზიკური ან სხვა სახის თავდასხმებისგან დაეცვა. ეს რეკომენდაციები არათუ შესრულდა, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.[173]

OGP-ის ეს გადაწყვეტილება არის კიდევ ერთი დადასტურება, რომ საქართველო უფრო და უფრო შორდება დემოკრატიის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტებს, რაც, მათ შორის, რეპრესიულ კანონშემოქმედებაში აისახება.

[172] OGP, Georgia Temporarily Suspended from the Open Government Partnership, 16.10.2024, ხელმისაწვდომია: https://www.opengovpartnership.org/news/georgia-temporarily-suspended-from-the-open-government-partnership/, განახლებულია: 07.05.2026.
[173] იქვე.